OIL CONCESSIONS IN GEORGIA IN THE 20s OF THE 20th CENTURY

ნავთობის კონცესიები საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში

Archil Kokhreidze
Doctor of History
Senior Research Fellow at the Institute of History and Ethnology at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
Tbilisi, Georgia
ORCDID ID – 0000-0001-5938-1109
593 253738; Markizarchil@gmail.com;

Natia Mirianashvili
Doctor of History
The LEPL National Archives of Georgia
Head of the Department of Contemporary History at the Central Archive
Tbilisi, Georgia
ORCDID ID- 0000-0002-5087-0042
577 340583; natia.mirianashvli @gmail.com

Abstract

Today, when Georgia is making efforts to establish a worthy place in the world, to develop its economy, establish close business ties with many countries and attract investors and tourists to the country. In this regard, it is essential, in our opinion, to search and study archival materials about Georgia's experience in establishing foreign relations in the 1920s. In this article, we would like to specifically consider the problems associated with oil production in Georgia during this historical period by foreign companies.

The well-known aphorism that history is written in blood lost its validity over time. It was replaced by another aphorism, namely, "history is not written in blood, but in oil." This change took place during the First World War. The then President of France, Clemenceau, demanded the immediate delivery of oil to his country in his letter to the American President Wilson in December 1918 The French President concluded his letter with the following words:

"The gasoline was as vital as blood in the coming battles. A failure in the supply of gasoline would cause the immediate paralysis of our armies. This will compel us to a peace unfavorable to the Allies."

That was a long time ago. In the meantime, the importance of oil has grown so much that today oil is the decisive factor in waging wars rather than bloodshed. Whoever owns the oil also owns the power.

Keywords: oil fields, oil, state, concession, contract.

არჩილ კოხრეიძე
ისტორიის დოქტორი
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ -თანამშრომელი
ORCID ID – 0000-0001-5938-1109
593 253738; Markizarchil@gmail.com

ნათია მირიანაშვილი
ისტორიის დოქტორი
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივი
განყოფილების უფროსი
ORCID ID- 0000-0002-5087-0042
577 340583; natia.mirianashvli @gmail.com

აბსტრაქტი

დღეისათვის, როდესაც საქართველო ცდილობს დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი მსოფლიოში, გააძლიეროს ეკონომიკა, დაამყაროს მთელ რიგ ქვეყნებთან მჭიდრო საქმიანი კავშირები, მოიზიდოს ინვესტორები და ტურისტები, აქტუალურად მიგვაჩნია ისეთი საარქივო მასალის გამოვლენა-გამოქვეყნება, რომელიც ასახავს საქართველოს გამოცდილებას უცხო ქვეყნებთან ურთიერთობაში მეოცე საუკუნის 20-ანი წლების მაგალითზე. კერძოდ სტატიაში შევეხებით ნავთობის მოპოვების საკითხს, უცხოელი კომპანიების მიერ. მუდმივი აფორიზმი ,,ისტორია იწერება სისხლით", აღარ არის მუდმივი და შეიცვალა აფორიზმით ,,არა სისიხლით, არამედ ნავთობით" ... ასეთი ცვლილება გამოიწვია პირველმა მსოფლიო ომმა, როცა საფრანგეთის პრეზიდენტი კლემენსო წერდა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ვილსონს 1918 წელს ნავთობის სწრაფად გამოგზავნის შესახებ და თავისი გზავნილი დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: ,,ნავთობი ისეთივე აუცილებელი გახდა, როგორც სისხლი ხვალინდელი დღისთვის საბრძოლველად". ეს იყო დიდი ხნის წინათ, მთელი ამ დროის განმოვლობაში ნავთობის მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდა და სისხლი, რომელიც ასეთი აუცილებელი იყო ბრძოლისათვის და ისტორიისათვის, მთლიანად შეიცვალა ნავთობით. ვის ხელშიც არის ნავთობი მის ხელშია ძალაუფლებაც. ეს არის თანამედროვე ოქრო (ფონდი. 303: 31).

საკვანძო სიტყვები: საბადოები, ნავთობი, სახელმწიფო, კონცესია, ხელშეკრულება.

შესავალი

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოში ნავთობის მოძიების და მოპივების საკითხი . ძნელად მოიპოვება ასეთი პატარა კუთხე, ბუნების მიერ ასეთი მრავალფეროვნად შემკული მადნეულობით და მინერალთა

სიმდიდრით, როგორც საქართველოა. ამ მხრივ საქართველოს, შეიძლება ეწოდოს გვირგვინი მინერალთა სამეფოსი.

მეორე მხრივ ისიც აღასანიშნავია, რომ გეოლოგიურად საქართველოს ტერიტორია და საერთოთ კავკასია ისეთი პროცესების გავლენის ქვეშ იყო, რომლის შედეგადაც დიდი დასრულებული მადნეული ბუდობების იმედს ჩვენ ვერ ვიქონიებთ. როგორც პროფესორი ივანე ყიფშიძე წერდა „ამ ქანთა და მათ წარმოშობათა გარჩევა გვიჩვენებს საერთოთ, რომ საქართველოს ტერიტორია ახალგაზრდა ფორმალისაა, ამიტომ მასში აღმოცენებულ მინერალთა ბუდობებს აკლიათ დასრულება. ასე ვსთაქვათ დადუღება, ამ მხრივ ჩვენ ვერ ველით ვერც ცარცის, ვერც ურალის ძველ ბუდობების სიძლიერეს ჩვენ მადნეულობაში. მაგრამ რაცა გვაქვს, ისიც საკმარისია, რომ ამ პატარა ტერიტორიამ მიიპყროს ყურადღება არა მარტო მეცნიერეთა, არამედ სამთამადნო მრეწველებისაც კაპიტალისტურ, ინდუსტრიალური ქვეყნებისა“ (ფონდი 471:164).

მეთოდები

- კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ქართველი და უცხოელი ავტორების ფუნდამენტალური კვლევები;

- გამოყენებულ იქნება სისტემური, ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის მეთოდები;

- ისტორიის პრინციპი იძლევა საშუალებას, განვიხილოთ ეკონომიური საკითხები კონკრეტულ ისტორიულ მოვლენათა ერთობლიობაში; ფაქტობრივი დოკუმენტური მასალისა და ისტორიული მომენტის ანალიტიკური შესწავლა იძლევა აღნიშნული საკითხის ობიექტური შეფასების საშუალებას;

- მრავალმხრივი ანალიზის მეთოდი მოგვცემს შესაძლებლობას, რათა ეკომონიური, საგარეო და საშინაო პოლიტიკური ფაქტორების დინამიკის გათვალისწინებით, კომპლექსურად შევისწავლოთ თემა. ამ მეთოდის გამოყენება იძლევა იმის საშუალებას, რომ მკვლევარებმა იხელმძღვანელონ ზოგადად ეკონომიკასა და პოლიტიკას და აგრეთვე სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკას შორის განუწყვეტელი დიალექტიკური ურთიერთკავშირის დებულებებით;

- გამოყენებული იქნება აგრეთვე ზოგად თეორიული სამეცნიერო მეთოდები, ისეთები, როგორიცაა ანალიზი და სინთეზი და საკითხისადმი სისტემური მიდგომა.

შედეგები

- სახელმწიფოს მიერ მე-20 საუკუნის 20-30-ან წლებში უცხოური კაპიტალის მოზიდვის (რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების ჩამოყალიბების, რეორგანიზაციისა და განვითარებაში) გამოცდილების შესწავლა შესაძლებლობას მისცემს თანამედროვე ეკონომიკას, რათა უფრო ფასრთოდ დანერგოს უცხოელ ინვესტორებთან თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები;

- კვლევის მთავარი შედეგია - ვაჩვენოთ, რომ 20-იანი წლების საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის მთავარ წინააღმდეგობას

წარმოადგენდა ის, რომ ეკონომიკა, რომელიც დაფუძნებულია საბაზრო ეკონომიკისა და კერძო საკუთრების ნაწილობრივ აღიარებაზე ვერ განვითარდებოდა გააფთრებული ერთპარტიული, ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში; იმ რეჟიმისა, რომლის ძირითადი პროგრამული მიზანი იყო კომუნიზმზე გადასვლა, კერძო კაპიტალისა და საკუთრების არმქონე საზოგადოებაზე.

მსჯელობა

კავკასიის პირველი გეოლოგიური გამოკვლევა ეკუთვნის გერმანელ გეოლოგს ოტო ვილჰელმს ჰერმან აბიხს მეცხრამეტე საუკუნის I ნახევარში, ამის შემდეგ რუსეთის გეოლოგიური კომიტეტისა და კავკასიის სამთამადნო სამმართველოს ინჟინრების მიერ იყო წარმოებული სხვა და სხვა კვლევები, რომელებიც გვაძლევენ გეოლოგიური პროცესის სურათს. 1878 წელს გამოვიდა სამთო ინჟინერ ლეოპოლდ ბაცევიჩის წიგნი „თბილისის გუბერნიის გეოლოგიური აღწერა თბილისის გუბერნიის სიღნაღისა და თბილისის მაზრებისა “ .

XIX საუკუნეში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აქტიურად წარმოებდა ნავთობის მოპოვება - დამუშავება. მას უპირატესად მოიპოვებდნენ ნავთლუღში, შირაქში, მირზაანში და ელდარის ველზე. სტატისტიკური მონაცემებით კახეთში არსებობდა შემდეგი საბადოები.

1. სიღნაღიდან 35 ვერსის დაშორებით, მდ. იორის მარცხენა ნაპირას, ჭიან-ხევში 60 ჭა.

2. სიღნაღიდან 55 ვერსის დაშორებით, დასავლეთით, მდ. იორის მარჯვენა ნაპირას, 16 წყარო, ს. კობიჯში 4 წყარო.

3. სიღნაღიდან 56 ვერსის დაშორებით, მდ. იორის მარჯვენა ნაპირას, 16 წყარო, კობიჯის წყაროების მახლობლად.

4. სიღნაღიდან 50 ვერსზე დასავლეთით 11 ჭა.

5. სიღნაღიდან 50 ვერსის დაშორებით, ხევბადის ხევში 42 წყარო.

6. მდ. იორის მარჯვენა მხარეზე, სოფელ კიდურმაში, 7 ჭა.

7. სიღნაღიდან 73 ვერსზე სამხრეთ-დასავლთით, მთა ახტა-ხანბასილაზე, 7 წყარო (მამუკა ჯოლბორდი 2016: 239).

საქართველოში ნავთის საბადოები მოიპოვებოდა გურიაშიც - მდ.სუფსა, სოფლები აკეთი, გურიანთა, მიქელგაბრიელი, იაკობი, სამღთო.

როგორც საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ე. ალშიბაია წერდა „ ჩვენ საერთოდ არ ვიცნობთ ქვეყნის სიმდიდრეს, როგორც მიწის წიაღში, ჩამარხულს, ისე მის ზედაპირზე ... გურიის ნავთმა შეიძლება ჩვენი ქვეყნის ისეთი მეტამორფოზა გამოიწვიოს, რომლის გათვალისწინება ამჟამად შეუძლებელია “ (ფონდი 600: 121).

XX საუკუნის დასაწყისში გურიის ნავთის შესწავლის მიზნით ლონდონში დაარსდა ინგლისური სააქციო საზოგადოება „the Gouria Petroleum corporation Ltd“, რომელმაც გურიაში დაიწყო გეოლოგიური გამოკვლევები. საქართველოში აღნიშნული საზოგადოების რწმუნებულად ითვლებოდა გუსტავ ოტოს ძე ზიბერტი. 1912-1914 წლებში კომპანიის გეოლოგმა დოქტორ რუდოლფ ნოტმა ჩაატარა გურიის რაიონის გეოლოგიური გამოკვლევა

(ფონდი 619: 272). 1914 წელს აღნიშნულმა საზოგადოებამ დაიწყო ბურღვა, მაგრამ მსოფლიო ომის დაწყებამ სამუშაოების ჩატარება შეაჩერა. 1917 წლის დასაწყისში საზოგადოებამ მუშაობა გააგრძელა, მაგრამ საქართველოს ანექსიის შემდეგ მუშაობა კვლავ შეჩერდა.

საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 ივლისის დეკრეტით მოხდა ნავთობსაცავების ნაციონალიზაცია. ყველა ნავთის საცავი და კეროსინის აუზი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იყო და რომლის საერთო ტევადობა ერცეთვითეული მფლობელობის ათას ფუთს უდრიდა, ნაციონალიზაციის წესით გამოცხადა საქართველოს სსრ საკუთრებათ, მთელი მისი ინვენტარით, აქტივითა და პასივით. გამონაკლის წარმოადგენდა კოოპერატივების და მათ კავშირთა ნავთის საცავები და აუზები. ნავთის საცავები და აუზები გადავიდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მომარაგების საბჭოს გამგებლობაში. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უფლება ეძლეოდა ზოგიერთი ნავთის საცავი, მათ შორის ნაციონალიზაციაქმნილიც, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე გაეთავისუფლებიფინა ნაციონალიზაციისაგან (ფონდი 281:203).

XX საუკუნის 20 - იან წლებში საბჭოთა კავშირი გადავიდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, რომელიც მიღებულ იქნა რკპ (ბ) X ყრილობაზე 1921 წლის 14 მარტს. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ შეცვალა სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა, რომელიც შემოღებული იქნა სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის დროს და რომელმაც საბჭოთა რუსეთი მიიყვანა ეკონომიურ კრახამდე. საქართველოს სამხედრო კომუნიზმის ხანა არ გაუვლია. ისეთი გარდატეხა როგორიც იყო რუსეთში, საქართველოში არ ყოფილა. საქართველოში ახალ ეკონომიური პოლიტიკას განვითარებას თავისუფალი ასპარეზი მიეცა და გარკვეულ ფარგლებში დაშვებული იყო კაპიტალისტური ელემენტები. ფაბრიკა-ქარხნების ნაწილი იჯარით გაიცა. საბჭოთა კავშირი გადავიდა ნატურალური გადასახადებიდან ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე და საშემოსავლო გადასახადზე.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის და ეკონომიკის აღდგენას, დაშვებული იყო საბაზრო ურთიერთობები; ეს იყო დროებითი პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალიზმის განვითარებისათვის პირობების შექმნას. ნეპის მთავრი დანიშნულება იყო საზოგადოებრივი დაძაბულობის მოხსნა და საბჭოთა ხელისუფლების სოციალური ბაზის გაძლიერება, ნგრევის შემდგომი გამწვავების თავიდან აცილება, კრიზისიდან გამოსვლა, ეკონომიკის აღდგენა და სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად ხელსაყრელი პირობების შექმნა. გარდა ამისა ნეპი მიზნად ისახავდა ნორმალური საგარეო პოლიტიკის აღდგენას და საერთაშორისო იზოლაციის დაძლევას. ბოლშევიკები იძულებულები გახდნენ დაეშვათ თავისუფალი ვაჭრობა და კერძო მრეწველობის ლეგალიზაცია. ნეპი იყო დროებითი ტაქტიკური უკანდახევა , რომელსაც მათი აზრით უნდა მოყოლოდა ახალი მსოფლიო რევოლუცია. ლენინი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ გარკვეულ წილად გატარებული იყო ღონისძიებები კაპიტალიზმის რესტავრაციისთვის, ეს აუცილებელი იყო ბოლშევიზმის გადასარჩენად.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ 1922 წლის 8 მაისის დეკრეტით ნავთობპროდუქტებით ვაჭრობაზე გამოცხადებული იყო სახელმწიფო მონოპოლია საქართველოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე - აჭარისტანისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. - საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის (მეორე რესპუბლიკა) ფარგლებში ყოველგვარი ნავთის პროდუქტების შემოზიდვა შეადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფოს სპეციალური ორგანო - სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობის განყოფილება...აღნიშნული პროდუქციით წვრილი ვაჭრობის უფლება ქონდა ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, კოოპერატივს და კერძო პირს, რომლებიც ამ პროდუქტს შეიძენდნენ სათბობის განყოფილებისგან, ამასთან ნებართვა უნდა გაეცა სათბობის განყოფილებას (ფონდი 600: 26).

1922 წლის იანვარში საზოგადოება „the Gouria Petroleum corporation Ltd“, გამგეობის თავმჯდომარემ რ. გენრიხ ვილერმა მიმართა სსრკ-ს წარმომადგენელს ლონდონში ლ. კრასინს, კონცესიის საფუძველზე მიეცათ გურიაში მუშაობის გაგრძელების ნება; ვილერის განცხადება განხილულ იქნა სსრკ სახალო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში 1922 წლის 9 ნოემბერს, სხდომას ესწრებოდა საქართველოს წარმომადგენელი კაკაბაძე, სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკონცესიო ხელშეკრულების დადების თაობაზე, ოღონდ შეცვლილი იყო საზოგადოების წარმომადგენლის რობერტსონის პირობები. როგორც მოქ. რობერტსონის, ისე საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საკონცესიო კომიტეტის კონტრპირობები გამოგზავნილ იქნა საქართველოს სმუს-ში, უკანასკნელმა შეიმუშავა თავისი პირობები 1923 წლის მარტში. თუმცა, ამის შემდეგ შეწყდა მოლაპარაკების პროცესი გურიის ნავთის კონცესიაზე. მოგვიანებით 1926 წელს საქართველოს საგეგმო კომისიამ მოინდომა ამ საკითხის განახლება და გურიაში “აზნავთობის“ დახმარებით დაიწყო საძიებო საქმიანობა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობაზე 1927 წლის პირველ აპრილს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელმა ავაქოვმა აღნიშნა, რომ გურიის ნავთის გამოსაკვლევად მიმდინარეობდა ფრიად სერიოზული სამუშაოები და იმედოვნებდა რომ გურიის ნავთს სამრეწველო მნიშვნელობა ექნებოდა,

1923 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ არენდით სამი წლით გადასცა ვლადიმერ მიხეილის ძე წერეთელს ნავთობის ადგილები შირაქში, ყოფილი ოთაროვისა, მთელი თავისი შენობებით და ქონებით. ვ. წერეთელი წლების მანძილზე მუშაობდა ნავთის წარმოებაში და დიდი გამოცდილება ქონდა. სამთო განყოფილება უფლებას იტოვებდა წაეღო სარეწავიდან საჭიროებისამებრ თავისი ქონება სათანადო აქტის შედგენის საფუძველზე.

არენდატორს უფლება ქონდა მთელი ამ ხნის განმავლობაში ეწარმოებინა ნავთობის მოძიება და მოპოვება, უფლება ეძლეოდა აგრეთვე ნავთისგან გამოეხადა ბენზინი, კეროსინი და სხვა და გაეყიდა. ამ შეთანხმებით

ვლადიმერ წერეთელს უფლება ქონდა, ხელშეკრულების დადებიდან სამი თვის შემდეგ, უარი განეცხადებინა ნავთობის ადგილების დაცვაზე; ამის თაობაზე ერთი თვით ადრე უნდა ეცნობებინა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სამთო განყოფილებისათვის. იგივე უფლებას იტოვებდა სამთო განყოფილებაც, მას შეეძლო არენდატორისთვის ჩამოერთმია შირაქის ნავთის დაცვის და მოპოვების უფლება; ამის თაობაზე მასაც ერთი თვით ადრე უნდა გაეკეთებინა განაცხადი (ფონდი 303: 114).

შირაქის ნავთობი სსრკ კავშირის მიერ საკონცესიოდ გადაეცა „იტალიურ-ბელგიურ ანონიმურ სამთო-სამრეწველო საზოგადოებას“ 1924 წლის 23 იანვარს დადებული საკონცესიო ხელშეკრულებით. საკონცესიო ხელსეკრულებას ხელს აწერდნენ ერთის მხრივ, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ფ. ძერჟინსკი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ლიტვინოვი, მეორეს მხრივ იტალიურ-ბელგიური ანონიმური სამთო-სამრეწველო საზოგადოების წარმომადგენელი საქართველოში ფრანსუა როდრიგეცი. ამ ხელშეკრულების 37 მუხლის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა უარს იტყოდა საკუთარ ტერიტორიაზე შირაქის ნავთობის საბადოს განვითარებაზე, სხვა თანაბარი წინადადებების არსებობისას, კონცესიონერს ეძლეოდა უპირატესი უფლება გამოეყენებინა გამოთავისუფლებული ტერიტორიები და განეგრძო ექსპლუატაცია მისთვის შემუშავებული სპეციალური პირობებით.

მოგვიანებით 1924 წლის 23 იანვარს დადებული საკონცესიო ხელშეკრულების პირობები შეიცვალა 1927 წლის 9 მარტის დამატებითი ხელშეკრულებით. მთავრობამ კონცესიონერს მისცა შირაქის ველის ნავთობის საბადოები, დაახლოებით 18.000 დესეტინა. კონცესიის ვადა იყოფოდა ორ პერიოდად - დაზვერვითი-საძიებო და საექსპლოატაციო. დაზვერვითი-საძიებო პერიოდი ძირითადად შემოიფარგლებოდა სამი წლით, დამატებითი შეთანხმებით ის გაგრძელდა 1929 წლის 9 მარტამდე. ექსპლოატაციის პერიოდი განისაზღვრა 30 წლით, ათვლა ხდებოდა 1924 წლის 23 იანვრიდან. საძიებო-დაზვერვითი პეროდი თავის მხრივ იყოფოდა ორ პერიოდად. პირველი 18 თვის მანძიელზე კონცესიონერი საძიებო ფართობზე ატარებდა გეოლოგიურ კვლევებს და ახდენდა ჭების ზედაპირულ ბურღვას, მეორე პერიოდში ღრმა ბურღვებს. კონცესიონერს, მისი განცხადების საფუძველზე ეძლეოდა დამატებითი 375 დესეტინა, რომელიც დამატებითი ხელშეკრულებით იზრდებოდა 1375 დესეტინამდე. ამავე დროს კონცსიონერს ეძლეოდა საექპლოატაციოდ დამატებითი 370 დესეტინა. ანუ მთლიანი საძიებო სამუშაობეისთვის ეძლეოდა 18 000 დესეტინა, დაზვერვითი სამუშაოებისთვის 1375 დესეტინა, და საექსპლოატაციოდ 370 დესეტინა.

საძიებო ადგილის ზედაპირული გამოყენებისთვის კონცესიონერი უხდიდა მთავრობას 7500 მანეთს (ეს თანხა გადეცა სსრკ სავაჭრო წარმომადგენლობას რომში, მაშინ როცა კონცესიონერს გადაეცა საკონცესიო ხელშეკრულება). 1375 დესეტინა ფართობის სარგებლობისათვის კონცესიონერი ყოველ წელწადს უხდიდა მთავრობას ყოველ ერთ ჰექტარზე 3 მანეთს, გარდა ამ გადასახადებისა რაც შედიოდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ბიუჯეტში (ფონდი 303: 114).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შირაქში ნავთის საძიებო სამუშაოები ნელა მიმდინარეობდა და საბოლოოდ „იტალიურ-ბელგიურ ანონიმურ სამთამადნო სამრეწველო საზოგადოებამ“ 1928 წლის 31 მარტიდან შეწყვიტა საქმიანობა შირაქში, წარმოების ფინანსირების რეორგანიზაციის საბაბით (ფონდი 600: 39).

ამ პერიდში ფაქტიურად საქართველოში უკვე დაწყებული იყო საკონცესიო სექტორის ლიკვიდაცია, რაც გამოწვეული იყო როგორც ეკონომიკური და გართულებული საგარეო პოლიტიკით, ისე შიდა პარტიული და იდეოლოგირი დაპირისპირებით. უცხოური კაპიტალი არ ჯდებოდა საბჭოთა იდეოლოგიაში. ქვყანაში გამძაფრდა ანტიკონცესიური განწყობები. იწყება საკონცესიო საწარმოებისა და თავად უცხოელი მეწარმეების ქვეყნიდან მოშორება. რიგი კონცესიები ლიკვიდირებულია ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე, ზოგი - ვადაზე ადრე. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე კონცესიების რიცხვმა სწრაფად დაიწყო კლება.

დასკვნა

ვვარაუდობთ, რომ კვლევის შედეგად თავმოყრილი დოკუმენტებიდან მიღებული ინფორმაცია დააინტერესებს საზოგადოების ფართო წრეებს, ვინაიდან ფაქტიურად დღემდე მასალათა უმრავლესობა პირველად ქვეყნდება. ეს კი ქართულ საისტორიო მეცნიერებას, მთლიანად საქართველოს ინტელექტუალურ პოტენციას გაამდიდრებს ახალი ცოდნით, ახალი ფაქტობრივი მასალით. ასეთი კვლევის შედეგები დაეხმარება არა მარტო სპეციალისტებს, არამედ დახმარებას გაუწევს საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურებს, დიპლომატებს, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ყველა მოქალაქეს. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება ახალგაზრდა თაობისათვის - ეს გააძლიერებს ინტერეს ისტორიისადმი, ხელს შეუწყობს ახალი სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების ფორმირებას, სადისერტაციო ნაშრომების შერჩევას და მათ განხორციელებას.

მადლიერება

პუბლიკაცია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (გრანტის N FR-21-7848, 2022-2024წწ.) - უცხოური კაპიტალი საქართველოში და დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციები - ფარგლებში, რისთვისაც ავტორები მადლობას უხდიან შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

sakartvelos uakhlesi istoriis tsentraluri arkivi. pondi 303. an.2. sak.33. purceli 183-187. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 303. ან.1. საქ.33 ფურცელი 183-187.

sakartvelos uakhlesi istoriis tsentraluri arkivi. pondi 471. an.1. sak. 164. purceli 95. (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 471. ან.1. საქ. 164. ფურცელი 95).

jolbordi, m. (2016). kartveli da utskhoeli metsarmeebis sameurneo-sakvelmokmedo sakmianoba sakartveloshi. tbilisi: gamomtsemloba:„meridiani“. (ჯოლბორდი, მ. (2016). ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში. გამომცემლობა: „მერიდიანი “).

sakartvelos uakhlesi istoriis tsentraluri arkivi. pondi 600. an.3. sak. 121. purceli 27. (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 600. ან.3. საქ. 121).

sakartvelos uakhlesi istoriis tsentraluri arkivi. pondi 619. an.1. sak. 272. (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 619. ან.1. საქ. 272).

sakartvelos uakhlesi istoriis tsentraluri arkivi. pondi 28. an.1.sak. 203. purceli 57. (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 281. ან. საქ. 203).

sakartvelos uakhlesi istoriis tsentraluri arkivi. pondi 600, an.4. sak. 26. purceli 3. (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 600. ან.4. საქ. 26).

sakartvelos uakhlesi istoriis tsentraluri arkivi. pondi 303. an.2. sak. 114. (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 303 ან.2. საქ. 114).

sakartvelos uakhlesi istoriis tsentraluri arkivi. pondi 600. an.22. sak. 39. purceli 39. (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 600. ან.22. საქ. 39).